ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო[1]

თბილისი, 25 დეკემბერი 2014 წ.

მეოთხე სხდომის ოქმი

2014 წლის 25 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მეოთხე სხდომა გაიმართა. სხდომის დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების სრული ანგარიშის პრეზენტაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს წევრი უწყებებმა წარმოადგენეს მოკლე პრეზენტაციები მათი უწყებების მიერ სამოქმედო გეგმით 2013 - 2014 წლებში გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ.

უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ირაკლი ბერაიამ, ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების, ასევე ამ უკანასკნელით გათვალისწინებული ღონისძიებების იმპლემენტაციის პროცესში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ შექმნილი თემატური სამუშაო ჯგუფების ფარგლებში 40-ზე მეტი შეხვედრა გაიმართა და რომ აღნიშნული შეხვედრები იყო ძალიან პროდუქტიული და შედეგად, საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენელთა შორის აქამდე არსებული კომუნიკაცია კიდევ უფრო გაღრმავდა.

ირაკლი ბერაიამ ასევე აღნიშნა, რომ 2014 წელს იწურება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადა. შესაბამისად, აუცილებელია აღნიშნული დოკუმენტების განახლების მიზნით უწყებათშორისი თემატური სამუშაო ჯგუფების ფარგლებში ინტენსიური მუშაობა.

ირაკლი ბერაიამ კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრ უწყებებს გაწეული სამუშაოსთვის და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

---

[1] ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა და დებულება დამტკიცდა 2013 წლის 13 ივნისის საქართველოს მთავრობის №145 დადგენილებით.

ირაკლი ბერაია

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ
ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო
საბჭოს მდივანი ორგანიზებული დანაშაულის
წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო
საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი